# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/88 "17" ივნისი 2021 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**თ. კაპანაძის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, თორნიკე კაპანაძე 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

# დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

## თორნიკე კაპანაძის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 15 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის თორნიკე კაპანაძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $35^2$ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

**<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>**

თორნიკე კაპანაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვამდე იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის უფროსი კონსულტანტი, ამავდროულად იგი 2017 წლიდან იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიატორი.

თორნიკე კაპანაძე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-15 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თორნიკე კაპანაძემ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. კანდიდატი იყო დისციპლინირებული მსმენელი.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

**<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>**

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ თორნიკე კაპანაძეს გაესაუბრნენ 2021 წლის 2 ივნისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

**<u>კანდიდატის შეფასება:</u>**

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი თორნიკე კაპანაძე შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

თორნიკე კაპანაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თორმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ თორნიკე კაპანაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1017 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 84.75%-ია.

**<u>კენჭისყრის შედეგები:</u>**

2021 წლის 17 ივნისს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 11-მა წევრმა მიიღო, თორნიკე კაპანაძემ მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა 2 კანდიდატი, მათგან 1 ყოფილი მოსამართლე და 1 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. კაპანაძე თორნიკე - 11 ხმა
2. ცეცხლაძე ნარგიზ - 0 ხმა

**<u>დასკვნა:</u>**

კანდიდატის თორნიკე კაპანაძის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა თორნიკე კაპანაძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი